განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

ახალი კორონავირუსის (COVID-19-ის) მასობრივი გავრცელების შესაფერხებლად და თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ პანდემიაზე სათანადო რეაგირების მიზნით, 2020 წლის 21 მარტიდან 22 მაისის ჩათვლით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადებული იყო საგანგებო მდგომარეობა; ამასთანავე, გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, ხოლო მის საფუძველზე – შესაბამისი სამართლებრივი აქტები, რომლებითაც ეტაპობრივად დაწესდა აუცილებელი შეზღუდვები; კერძოდ, საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით შეჩერდა საერთაშორისო მიმოსვლა, სარკინიგზო და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრთა რეგულარული გადაყვანა; განისაზღვრა სხვა სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაადგილების სპეციალური წესები; საგანმანათლებლო დაწესებულებები გადავიდნენ დისტანციური სწავლების რეჟიმზე; აიკრძალა გარკვეულ დროს პირთა გადაადგილება, კულტურული და სპორტული ღონისძიებების გამართვა; შეიზღუდა საჯაროდ შეკრება, სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება, ეკონომიკური საქმიანობა, საჯარო სერვისების მიწოდება და ა. შ.

მართალია, ზემოაღნიშნულმა ღონისძიებებმა დადებითი შედეგი გამოიღო, მაგრამ იმავდროულად გამოიკვეთა, რომ გარკვეული შეზღუდვების გაგრძელება 2020 წლის 22 მაისის შემდეგაც (საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგაც) საჭირო იყო, რის გამოც 2020 წლის 22 მაისს საქართველოს პარლამენტმა „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესაბამისი ცვლილებები შეიტანა.

2020 წლის 22 მაისს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებით დაზუსტდა ტერმინის „საკარანტინო ღონისძიებები“ შინაარსი და საქართველოს მთავრობასა და მის მიერ განსაზღვრულ სამინისტროებს დროებით მიენიჭათ უფლებამოსილება, პანდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად და ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად საჭირო წესები და ღონისძიებები დაედგინათ. ამასთანავე, კანონში პირდაპირ და მკაფიოდ მიეთითა იმ პრინციპებზე, რომელთა დაცვაც საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა სამართლის თანახმად აუცილებელია, როდესაც ადამიანის უფლებები იზღუდება. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ დროებითი ნორმის იმპლემენტაცია კანონის სრული დაცვით მიმდინარეობს, პანდემიის სამართავად აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შემუშავებული წესები შეესაბამება ეპიდვითარების სიმძიმეს

და COVID-19-ის გავრცელების შესაჩერებლად აუცილებელი და პროპორციული ღონისძიებები გამოიყენება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2020 წლის 22 მაისის ცვლილებით კი დადგინდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომების დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შესაძლო გამართვის დროებითი წესი.

თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ზემოხსენებულ საკანონმდებლო ცვლილებებს მოქმედების ვადად 2020 წლის 15 ივლისი განესაზღვრა, რომელიც შემდეგ 2021 წლის 1 იანვრამდე გაგრძელდა, რაც იმას გულისხმობს, რომ 2021 წლის 1 იანვრიდან, ერთი მხრივ, აღარ იმოქმედებს კანონის აღნიშნული დროებითი ნორმები, ხოლო, მეორე მხრივ, პანდემიით გამოწვეული ვითარება ქვეყნისთვის კვლავ მწვავე გამოწვევად დარჩება. არსებული რეალობიდან გამომდინარე აშკარაა, რომ პანდემიასთან და მისით გამოწვეულ შედეგებთან მყისიერად და ეფექტიანად გასამკლავებლად აუცილებელია, გაგრძელდეს 2020 წლის 22 მაისის ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნორმების მოქმედება და მათ საფუძველზე სათანადო რეგულაციების მიღებისა და საჭირო ღონისძიებების გატარების შესაძლებლობა. გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიოს ქვეყნებს კვლავ უწევთ შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რათა პანდემიის პირობებში, ერთი მხრივ, გააგრძელონ ჩვეული ცხოვრება და, მეორე მხრივ, ებრძოლონ ვირუსსა და მისგან მომდინარე, ადამიანის ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიშ შედეგებს. ახალი კორონავირუსის (COVID-19-ის) გავრცელების შესაფერხებლად და თავიდან ასაცილებლად მთელი რიგი შეზღუდვები კვლავ გრძელდება ევროკავშირის წევრ და არაწევრ ბევრ ქვეყანაში (მაგალითად, ავსტრია, აშშ, ბელგია, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, დანია, ესპანეთი, თურქეთი, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიეტუვა, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, შვედეთი, შვეიცარია, ჩეხეთი და სხვა).

ამგვარად, წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია, რომ 2021 წლის 1 იანვრის შემდეგაც შენარჩუნდეს ის არსებული სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც პანდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად მყისიერი და ეფექტიანი ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას და პროცესების სწორად წარმართვას უზრუნველყოფს. სწორედ ამ მიზნით არის წარმოდგენილი კანონპროექტი, რომელიც პანდემიით გამოწვეული, ქვეყანაში არსებული მწვავე პრობლემის დაძლევის აუცილებელი საშუალებაა.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ ნორმების მოქმედების ვადის გასაგრძელებლად, რომლებიც პანდემიით შექმნილი ვითარების სამართავად და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში პანდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებელია, საჭიროა, რომ აღნიშნულ

კანონში შესაბამისი ცვლილება განხორციელდეს და მისი 45^3 მუხლის მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2021 წლის 1 იანვრის შემდეგაც გარკვეული დროით.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში ქვეყნის შესაბამის უწყებებს 2021 წლის 1 იანვრის შემდეგაც ექნებათ შესაძლებლობა, რომ განაგრძონ ეფექტიანი ბრძოლა კორონავირუსით (COVID-19-ით) გამოწვეული პანდემიის წინააღმდეგ და კვლავ გაატარონ შექმნილი ვითარების გამკლავებისკენ მიმართული ყველა აუცილებელი ორგანიზაციული, სამართლებრივი და სხვა სახის ღონისძიებები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით ცვლილება შედის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45^3 და 45^4 მუხლებში და აღნიშნული კანონის 45^3 მუხლის („2021 წლის 1 იანვრამდე გასატარებელი დროებითი ღონისძიებები“) მოქმედების ვადა – 2021 წლის 1 იანვარი – გრძელდება 2021 წლის 1 ივლისამდე.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი საქართველოს მთავრობის მიერ არ არის ინიციირებული.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტით წარმოდგენილი კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, რაც გამომდინარეობს მისი მიზნის მიღწევის აუცილებელი საჭიროებიდან და კანონის მიღებასთან დაკავშირებული პროცედურიდან. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის ინიციატორები არ ითხოვენ მის დაჩქარებული წესით განხილვას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილზე დამოკიდებული იქნება ქვეყანაში პანდემიით შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე გატარებულ ღონისძიებებსა და მათ მასშტაბზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებით გამოწვეული გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე დამოკიდებულია, თუ რა სახის და რა ინტენსივობით მოუწევს სახელმწიფოს იმ ღონისძიებების გატარება, რომლებიც პანდემიის შედეგად შექმნილ გამოწვევათა საპასუხოდ და მათ საბოლოოდ დასაძლევად იქნება საჭირო.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფოს ახალი ფინანსურ ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა პანდემიით შექმნილი ვითარების მიხედვით გავლენა მოახდინოს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45^3 მუხლი და მის საფუძველზე მიღებული სამართლებრივი აქტები. ამ ფინანსური შედეგების მასშტაბი დამოკიდებულია, თუ რა სახის და რა ინტენსივობით მოუწევს სახელმწიფოს იმ ღონისძიებების გატარება, რომლებიც პანდემიის შედეგად შექმნილ გამოწვევათა საპასუხოდ და მათ საბოლოოდ დასაძლევად იქნება საჭირო.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი (ფულადი შენატანი).

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონპროექტის მომზადება არ არის დაკავშირებული ასეთ ხელშეკრულებასთან/შეთანხმებასთან.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა უშუალოდ ამ კანონპროექტის შემუშავებისას არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი: დიმიტრი ხუნდაძე, ვლადიმერ კახაძე, ზაალ მიქელაძე, ზაზა ლომინაძე, დავით სერგეენკო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: დიმიტრი ხუნდაძე, ვლადიმერ კახაძე, ზაალ მიქელაძე, ზაზა ლომინაძე, დავით სერგეენკო.